ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 99
(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000066)

ქ. ბათუმი 08 ნოემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის მაია ივანიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „პენსან ჯორჯია" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის, გიგა გობიანიძის სახით (ორივე წოდებული, როგორც „მხარეები"), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელწიფო შესყიდვების შესახებ" "საქართველოს კანონის 20² მუხლით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 20 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებული „A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობებით", აგრეთვე „2017 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის N2336 განკარგულებით და საბეჭდი ქაღალდის 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (№**CON170000066**) პირობებით (შემდგომში - „კონსოლიდირებული ტენდერი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ფორსმაჟორი" - „მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი (შემდგომში - საბეჭდი ქაღალდი), რომელიც აკმაყოფილებს A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV30197630) 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციითა და დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2. შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 112 შეკვრა.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა: 700 (შვიდასი) ლარი.

3.2. ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს 6.25 (ექვსი ლარი და 25 თეთრი) ლარს.

4. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი ან ქ. ქუთაისი.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ- ფაქტურის

დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე;

გ) ქაღალდის მიწოდება განახორციელოს ერთჯერადად, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი მოთხოვნიდან **(შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი სახით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით - pensan.georgia@gmail.com)**, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, თუ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. მიწოდება უნდა განახორციელოს 2017 წლის 26 დეკემბრამდე.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, რომ მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება;

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2% ოდენობით. საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

6.4. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6.5. სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

9. სხვა პირობები

9.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო	**შპს „პენსან ჯორჯია"**
მის: ქ. ბათუმი, გოეგასალის ქუჩა N126	ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.N18
საიდენტიფიკაციო კოდი N 245429610	ს/კ N404870760
სს „თიბისი ბანკი"	სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგ. N *GE62TB7901736010100015*	ანგ. N GE35VT6500000055555555
ს/ტ. ნომერი: 577141760	ს/ტ ნომერი: 2355844
მაია ივანიშვილი **სამმართველოს უფროსი**	**ზაზა გობიანიძე** **დირექტორი**

დანართი

პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები

N	დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ქაღალდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1. გრამაჟი (გრ/მ2) – 77– 83; 2. სიკაშკაშე – არანაკლებ 88% ; 3. გაუმჭვირვალობა – მინიმუმ 92%; 4. სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით) – არანაკლებ 142%; 5. ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა; 6. ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ქლორის გამოყენების გარეშე (გააჩნდეს ECF სერტიფიკატი); 7. არანაკლებ 500 ფურცლიანი შეკვრა; 8. ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლგადამღები აპარატებისათვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის.	შეკვრა (500 ფურცლიანი)	112 შეკვრა	6.25	700
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით					700 ლარი

„შემსყიდველი"

აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო
მის: ქ. ბათუმი, გოეგასალის ქუჩა N126
საიდენტიფიკაციო კოდი N 245429610
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. N *GE62TB7901736010100015*
ს/ტ ნომერი: 377141760

მარა ფანიშვილი
სამმართველოს უფროსი

„მიმწოდებელი"

შპს „პენსან ჯორჯია"
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.N18
ს/კ N404870760
სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგ. N GE35VT6500000055555555
ს/ტ ნომერი: 2355844

გოგა გოგბერიანიძე
დირექტორი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 8 ნოემბერი 2017 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ კონსოლიდირებული ტენდერის (სატენდერო განცხადება N CON170000066) ფარგლებში საბეჭდი ქარალდის შესყიდვასთან დაკავშირებით მონაწილე მიმწოდებელსა (შპს „პენსან ჯორჯია“ ს/კ 404870760, დირექტორი გიგა გობიანიძე) და ჩვენს შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

სამმართველოს უფროსი _____ /მ. ივანიშვილი/

სამმართველოს საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
_____/ი. ჯორბენაძე/

სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვებისა და
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
_____/ა. ჩახვაძე/

სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვებისა და
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი _____/ა. გაგუა/